ევროკავშირი
საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights

BEMONI
PUBLIC UNION

2024

უსაფრთხო ღამის ცხოვრება

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების
პრევენციისა და ზიანის შემცირების
სახელმძღვანელო ელექტრონული მუსიკისა და
საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი
ორგანიზაციებისთვის

პროექტი „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR)
#ENI/2021/429-043

უსაფრთხო ღამის ცხოვრება

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისა და ზიანის შემცირების სახელმძღვანელო ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციებისთვის

შექმნილია საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

თბილისი, 2024

შინაარსი

წინათქმა

1. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და ღამის ცხოვრება: მეტი, ვიდრე უბრალოდ მუსიკა

2. როგორ შევქმნათ ჯანსაღი და უსაფრთხო მუსიკალური სივრცე

2.1 სივრცის ფიზიკური და სოციალური გარემო

2.2 ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის პრევენცია და შემცირება

3. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტი

3.1 ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციების შეფასების ინსტრუმენტი

3.2 პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

დანართი 1. ზიანის შემცირების გზავნილები

დანართი 2. გამოყენებული ლიტერატურა

წინათქმა

არავინ იცის ზუსტად, რამდენი ადამიანი დადის საქართველოში ელექტრონული მუსიკის ღონისძიებებზე რეგულარულად ან დროდადრო. არც ის ვიცით, რამდენ ალკოჰოლს ან სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებას მოიხმარენ ამ ღონისძიებაზე, ღონისძიების დაწყების წინ და დასრულების შემდეგ. რაც ჩვენ ვიცით, არის ის, რომ ელექტრონული მუსიკის სცენა თანდათან იზრდება და ვითარდება.

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR) ფარგლებში და მიზნად ისახავს, დაეხმაროს ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალ ორგანიზაციებს, უზრუნველყონ სტუმრებისა და პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ღამის გასართობ ადგილებში.

ელექტრონული მუსიკის ღონისძიებებზე ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება დაკავშირებულია მთელ რიგ ჯანმრთელობისა და სოციალურ პრობლემებთან, როგორიცაა ნივთიერებებით ზედოზირება, გონების დაკარგვა, უნებლიე ტრავმა, აგრესიული ქცევა და ძალადობა, რისკის შემცველი სქესობრივი კავშირი და სექსუალური ძალადობა, მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა და სხვ. ასეთი საზიანო შედეგების უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია ერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების გადაჭარბებულ ან რამდენიმე ნივთიერების ერთდროულად მოხმარებასთან. ამიტომ, მნიშვნელოვანია გარკვეული ძალისხმევის მიმართვა ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად, ასეთ ადგილებში ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარება ნორმად ითვლება და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინება სათანადოდ არ ხდება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია გარემოზე ორიენტირებული პრევენციული მიდგომა; ეს მიდგომა გვთავაზობს ისეთ სტრუქტურულ ღონისძიებებს, რომლებიც აუმჯობესებს ღამის ცხოვრების პირობებს და ინფორმაციისა და რჩევების ხელმისაწვდომობას რისკების შესამცირებლად ყველა სტუმრისთვის, იმის მიუხედავად, მოიხმარენ თუ არა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო მაღალი სტადარტებისკენ მოგვიწოდებს, სრულად ვაცნობიერებთ მფლობელების ლეგიტიმურ ბიზნეს ინტერესებს და ვცდილობთ, ვიყოთ რეალისტურები. ელექტრონული მუსიკის ღონისძიებების მრავალფეროვანი ფორმები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოითხოვს, რომ სახელმძღვანელო უნდა იქნას მორგებული ცალკეული ელექტრონული მუსიკის ფესტივალისა თუ ღამის კლუბის თავისებურებებსა და საჭიროებებზე.

არ არსებობს გარანტირებული, ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა მუსიკალური ღონისძიება ჩაივლის უსაფრთხოდ, ნარკოტიკებთან ან ალკოჰოლთან დაკავშირებული ინციდენტის გარეშე. თუმცა, არსებობს უამრავი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება და უნდა გადაიდგას, რათა შემცირდეს ასეთი ინციდენტების ალბათობა.

დაბოლოს, გზამკვლევი არ აკისრებს ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალ ორგანიზაციებს დამატებით პასუხისმგებლობებს და არც ფიქსირებულ, მზა გადაწყვეტილებებს სთავაზობს; მასში აღწერილი რეკომენდაციები და მექანიზმები არადირექტიული, დისკრეციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ორგანიზაციებისთვის რეალისტური მიდგომების შეთავაზებას ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ეფექტური პრევენციული და ზიანის შემცირების სტრატეგიების განსახორციელებლად - თითოეული ორგანიზაციის გადასაწყვეტია, რომელ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს და რა მიდგომებს დანერგავს, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რეკომენდაციების მაქსიმალური გათვალისწინება ხელს შეუწყობს ღამის გასართობი დაწესებულებების სტუმართა და თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

1. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და ღამის ცხოვრება: მეტი, ვიდრე უბრალოდ მუსიკა

მუსიკალური ბარები, ღამის კლუბები და სხვა რეკრეაციული სივრცეები ახალგაზრდებს სოციალიზაციის, მუსიკის მოსმენისა და ცეკვის შესაძლებლობას აძლევს. ზაფხულის თვეებში დიდი მუსიკალური ფესტივალები იზიდავს ათასობით ახალგაზრდას. მაგრამ არსებობს ღამის ცხოვრების კულტურის მეორე, რისკის შემცველი მხარეც - ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გაუფრთხილებელმა მოხმარებამ შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მოიცავს როგორც მოკლევადიან რისკებს, როგორიცაა სიცოცხლისთვის საშიში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაცია (Van Kleef & Van der Lely, 2006), გადახურება და დეჰიდრატაცია ექსტაზისა და სხვა სტიმულანტების გამოყენების შემდეგ (Freese, Miotto, & Reback, 2002; Gowing, Henry-Edwards, Irvine, Ali, 2002), ასევე გრძელვადიან რისკებს, როგორიცაა ნივთიერებებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება (Grant, Scherrer, Lynskey, Eisen, & Tsuang, 2006), დეპრესია და მეხსიერების პრობლემები (Freese et al., 2002). გარდა ამისა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ავტოსაგზაო შემთხვევები (Calafat et al., 2009; Mathijssen & Houwing, 2005), სარისკო სქესობრივი ქცევა (Bellis et al., 2008; Poulin & Gaham, 2001) და სექსუალური ძალადობა (EMCDDA, 2006; Olszewski, 2009); ასევე, ფსიქოაქტიური

ნივთიერების ზემოქმედებით გამოწვეული ძალადობა (Hoaken & Stewart, 2003; Pennings, Leccese, & De Wolff, 2002).

გარდა თავად ფსიქოაქტიური ნივთიერებების მახასიათებლებისა, ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავებაში ან შემცირებაში დიდ როლს თამაშობს ღამის ცხოვრების გარემო (Green & Plant, 2007). მაგალითად, არასრულწლოვანისთვის ალკოჰოლური სასმელის მიყიდვა, ტოლერანტული დამოკიდებულება ადგილზე ნარკოტიკების მოხმარების მიმართ; ცუდი ვენტილაცია, უფასო წყლის არარსებობა, ადეკვატური გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არარსებობა ხელს უწყობს ღამის ღონისძიებების სტუმრებისთვის სახიფათო და არაჯანსაღ გარემოს (Bellis, Hughes, & Lowey, 2002).

ღამის კლუბებში და კონცერტებზე ხმაურის დონე შეიძლება ძალიან მაღალი იყოს. ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის (RNID, 2003) თანახმად, 18-30 წლის ახალგაზრდების იმ 66%-დან, რომლებიც რეგულარულად დადიან კლუბებსა და ელექტრონული მუსიკის კონცერტებზე, 73%-ს განუცდია ყურებში შუილი ან სმენის დაჩლუნგება, რაც სმენის დაზიანების გამაფრთხილებელი სიგნალია. იმავე ჯგუფის უმრავლესობამ არ იცოდა, რომ სმენის დაზიანება შეუქცევადია.

ალკოჰოლი და ნარკოტიკები ზოგჯერ მიზანმიმართულად გამოიყენება სქესობრივ პარტნიორთან კონტაქტის გასაადვილებლად და/ან სექსით უფრო ხანგრძლივი და ინტენსიური სიამოვნების მისაღებად. ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ცვლის სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს და ზრდის ისეთი სარისკო სექსუალური ქცევების ალბათობას, რომლებიც შეიძლება მომავალში სანანებელი გახდეს (Bellis et al, 2008; Calafat, Juan, Becoña, and Mantecón, 2008).

2. როგორ შევქმნათ ჯანსაღი და უსაფრთხო მუსიკალური სივრცე

2.1 სივრცის ფიზიკური და სოციალური გარემო

სივრცის ხალხით გადავსების (ხალხმრავლობის) პრევენცია

სივრცის ხალხით გადავსება საცეკვაო ღონისძიებებზე ტრავმებისა და სიკვდილობის საკვანძო ფაქტორად ითვლება. ამასთან ერთად, ჯანმრთელობის რისკებს ზრდის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება - ალკოჰოლი და ზოგიერთი სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერება იწვევს ორგანიზმის გამოშრობას, გაუწყლოებას; ექსტაზისა და სხვა სტიმულანტების მოხმარება კი - სხეულის ტემპერატურის მატებას. ყოველივე ამის ფონზე ხალხმრავალ, ჩახუთულ სივრცეში ხანგრძლივი ცეკვა ზრდის სითბური დაკვრის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ გართულებების ალბათობას.

სივრცის საერთო ტევადობის განსაზღვრა ხდება სახანძრო რისკების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ღამის ცხოვრების დაწესებულებებში დაინერგოს შემსვლელთა დათვლის სანდო სისტემა. ამ სისტემებს აქვს მთელი რიგი უპირატესობები: ისინი უზრუნველყოფენ, რომ არასრულწლოვანები არ დაუშვან, ზუსტად ითვლიან ღონისძიებაზე შესული ადამიანების რაოდენობას, შეუძლიათ შეამცირონ არეულობის შემთხვევები, რადგან ყველამ იცის, რომ შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება და, საბოლოოდ, ნებისმიერი, ვისაც სთხოვენ შენობის დატოვებას მიუღებელი ქცევის გამო, შეიძლება აღინიშნოს სისტემაში და სამომავლოდ აეკრძალოს შესვლა.

გარდა იმისა, რომ სივრცის საერთო ტევადობას არ უნდა აჭარბებდეს სტუმრების რაოდენობა, მნიშვნელოვანია ლოკალური გადატვირთულობის თავიდან აცილება. აზრი ეკარგება საერთო ტევადობის ლიმიტის დაცვას, თუ მომხმარებელთა ნახევარი მცირე პოპულარულ ზონებშია თავმოყრილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბარის ზონებს, ტუალეტისა და გარდერობის ზონებს, ვიწრო გასასვლელებს, კიბეებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი მომხმარებელი შეიძლება იყოს ნასვამ მდგომარეობაში და კარგად არ იცნობდეს გარემოს, ამან კი შეიძლება წარმოქმნას პრობლემები საგანგებო ევაკუაციის დროს.

კლიმატის კონტროლი

დახურულ სივრცეებში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია სტუმრების კომფორტისა და უსაფრთხოებისათვის. ზოგჯერ, კონდიციონერი მაშინ ირთვება, როდესაც ჰაერის ტემპერატურა უკვე ძალიან მაღალია და მისი ეფექტურობა შეზღუდულია. ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს, იზრდება სხეულის გადახურების რისკი, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუმრები იმყოფებიან გარკვეული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

ღია სივრცეებში მუსიკალური ფესტივალების ჩატარების დროს, მნიშვნელოვანია მზით, სიცივით ან წვიმით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების თავიდან აცილება. ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი თავშესაფარი წვიმისა და მზისგან (კარვები, ხეები და ა.შ.), საწვიმარი ლაბადების, ქოლგების, მზისგან დამცავი საშუალებების, მზის სათვალეების, მზის ქუდების, მზისგან დამცავი კრემის შემცველი დისპენსერების ხელმისაწვდომობა.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა

გადახურებისა და გაუწყლოების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიების ყველა მონაწილეს ჰქონდეს წვდომა სასმელ წყალსა და უალკოჰოლო გამაგრილებელ სასმელებზე. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მოიხმარეს ალკოჰოლი და ნარკოტიკები.

სასმელი წყალი უნდა იყოს თავისუფლად ხელმისაწვდომი. ეს შეიძლება გაკეთდეს სასმელი შადრევნების დაყენებით ან ცივი უფასო წყლის

შეთავაზებით ბარში ან სხვა ადგილას. თუ უფასო წყლის შეთავაზება ვერ ხერხდება, დააწესეთ გარკვეული თანხა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუმრებს, მთელი ღონისძიების განმავლობაში შეუზღუდავად ისარგებლონ წყლით.

შესთავაზეთ სტუმრებს უალკოჰოლო სასმელების ფართო არჩევანი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ასეთ ადგილებში შაქრის დაბალი შემცველობის სასმელების გაყიდვა. წყლისა და კლასიკური (დიეტური) გამაგრილებელი სასმელების გარდა, სხვა დაბალშაქრიანი უალკოჰოლო სასმელებიც შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი.

ენერგიის ნაკლებობისა და გამოფიტვის, ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული გადათრობის თავიდან ასაცილებლად, ასევე მნიშვნელოვანია წასახემსი პროდუქტების ხელმისაწვდომობა. მიაწოდეთ საკვების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, მცენარეული კვების ჩვევებისა და გლუტენის, ლაქტოზის აუტანლობის გათვალისწინებით. ასევე, რეკომენდებულია ჯანსაღი საკვების მიწოდება ვიტამინებისა და ბოჭკოს ნაკლებობის შესავსებად: გაყიდეთ ან შესთავაზეთ უფასო ხილი, იოგურტი, სმუზი ან სხვა ჯანსაღი საკვები.

გადახურების საწინააღმდეგო დამატებითი ზომები

გადახურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მოცეკვავეები საათობით ცეკვავენ სწრაფ რიტმზე. თუ ამას დაემატა ექსტაზის ან სხვა მასტიმულირებელი საშუალებების მიღება, ჯანმრთელობისთვის რისკები კიდევ უფრო იზრდება. კლუბის/ ფესტივალისა და ხმის სისტემის პერსონალს შეუძლია გარკვეული ზომების მიღება, რათა მოცეკვავეებს შესვენების საშუალება მიეცეთ. დიჯეებს შეუძლიათ ჩანაწერების მიქსებში შედარებით მშვიდი ეპიზოდების შეტანა.

გადახურების პოტენციური კანდიდატების დასადგენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელი პერსონალი იყოს ძალიან ფხიზლად და დააკვირდეს საცეკვაო მოედანს. მომხმარებელზე ფხიზლად თვალის მიდევნებით, აშკარა გახდება, თუ ვინ არის ძალიან ჩაფლული ცეკვაში და არ ფიქრობს შესვენებაზე ან გამაგრილებელი სასმელის მიღებაზე. ეს ადამიანები უნდა იყვნენ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, მათ უნდა შესთავაზონ წყალი და ფრთხილად უბიძგონ შესვენებისკენ.

გადახურების, გაუწყლოებისა და სმენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა არსებობდეს „დასვენების ზონები“ - შედარებით გრილი ოთახები/სივრცეები, კომფორტული დასაჯდომებით, სადაც არ არის მუსიკა ან უკრავს ხმადაბალი, მშვიდი, ნელი მუსიკა. ასეთ ადგილზე ყოფნა აძლევს ვიზიტორებს მცირე ხნით დასვენების და გაგრილების საშუალებას, რაც ამცირებს სხეულის ტემპერატურას. ეს დასვენების ზონები ასევე იდეალური ადგილია ზიანის შემცირების ინფორმაციისა და სერვისების მისაწოდებლად.

ზოგიერთი მოცეკვავე შეიძლება ისე გახურდეს, რომ მოინდომოს ტანსაცმლის გახდა, რაც, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოვიდეს შინაგანაწესით დადგენილ

ჩაცმულობის წესთან. ეს იმის მანიშნებელია, რომ ტემპერატურა ძალიან მაღალია და საჭიროა სათანადო ზომების მიღება. ამავდროულად, გადახურების შემთხვევაში, მოცეკვავეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გაიხადონ გარკვეული ტანსაცმელი, რათა უფრო ადვილად შეძლონ თავიანთი სხეულის ტემპერატურის კონტროლი.

ჯანმრთელობის პრობლემების (მაგ., გაციების ან სხეულის გადაცივების) თავიდან ასაცილებლად, მუსიკალური ღონისძიებების სტუმრებს უწევთ დამატებითი ტანსაცმლის ჩაცმა სახლისკენ მიმავალ გზაზე, განსაკუთრებით ზამთარში. ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებობდეს გარდერობი, რომელიც ეფექტურად და უსაფრთხოდ მუშაობს. გარდერობის მომსახურება უნდა იყოს უფასო (შედიოდეს შესვლის ფასში) ან ფასი იყოს გონივრული, რათა მომხმარებლებმა თავისუფლად, გამოიყენონ. თუ სტუმრებს მოეთხოვებათ სივრცის დატოვება მოწევისთვის, მათ უპრობლემოდ უნდა შეეძლოთ ქურთუკის აღება - განსაკუთრებით, ზამთრის თვეებში, რადგან იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება, რომ მაღალი ტემპერატურის მქონე სივრციდან უეცრად სიცივეში გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში შოკური მდგომარეობა.

აკრძალული ფსიქოაქტიური ნივთიერებების შეტანის, ადგილზე მოხმარებისა და გაყიდვის შეზღუდვა

ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეს ღონისძიებაზე დასწრების მსურველთა ჩხრეკის მკაფიოდ გაწერილი პოლიტიკა და პროცედურები. კარის პერსონალისა და უსაფრთხოების სამსახურის კარგად გაწვრთნილი გუნდი ეფექტურად უნდა ახდენდეს აკრძალული ნივთიერებების გაყიდვის პრევენციას. რეკომენდებულია, რომ კარის პერსონალს ჰქონდეს ნემსგაუმტარი ხელთათმანები და ვაქცინირებული იყოს B ჰეპატიტზე.

მიუხედავად იმისა, რომ თანმიმდევრულად აღსრულებული ჩხრეკის პოლიტიკა ძლიერი გზავნილია, რომ ღონისძიების ორგანიზატორები არ მიესალმებიან ტერიტორიაზე ნარკოტიკების რეალიზაციას ან ადგილზე ნარკოტიკების მოხმარებას, მათ, ვინც ცდილობს ნარკოტიკების შეტანას, არ გაუჭირდებათ მათი ისეთ ადგილებში დამალვა, რომელთა შემოწმებაც შეუძლებელია. ასეთი მიდგომის კიდევ ერთი შედეგი შეიძლება ის იყოს, რომ ღონისძიებაზე შესვლამდე სტუმრები წინასწარ იღებენ ნარკოტიკის მთელი ღამის დოზას - ეს კი სახიფათო პრაქტიკაა.

აუცილებელია, რომ ღონისძიების ფარგლებში მომუშავე შესაბამისი პერსონალი ფხიზლად იყოს, რათა არ გამორჩეთ ნარკოტიკებით ვაჭრობის ან სივრცეში ნარკოტიკების მოხმარების ნიშნები. მათ რეგულარულად უნდა განახორციელონ ტერიტორიის ყველა ზონის მონიტორინგი, განსაკუთრებით კი დერეფნებისა ან იზოლირებული ადგილების.

კიდევ ერთი პრობლემაა არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ადგილზე ღიად, სხვების დასანახად მოხმარება. ასეთი პრაქტიკა ზრდის ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ რისკებს, როგორიცაა მოხმარების წახალისება, ნივთიერებების გაზიარება, სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების ერთდროული მოხმარება. ასეთ დროს, შეუძლებელი ხდება ნივთიერებათა ეფექტებისა და დოზების გაკონტროლება, იზრდება მძიმე ინტოქსიკაციისა და ზედოზირების რისკები. რეკომენდებულია, რომ ორგანიზატორებმა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა სხვების დასანახად ნარკოტიკების მოხმარება აიკრძალოს.

ნარკოტიკების მოხმარების, გაყიდვის ან სხვა პრობლემების აღმოსაჩენად, შეიძლება გამოყენებული იყოს ვიდეომეთვალყურეობა, მაგრამ აქ საჭიროა ბალანსის დაცვა: ის შეიძლება ეფექტური იყოს ნარკოტიკებით ვაჭრობის შესაჩერებლად, მაგრამ არ უნდა იქნას გამოყენებული კლუბის სტუმრების ლეგიტიმური კონფიდენციალობის ხელყოფისთვის. არსებული პრაქტიკით, ხდება ვიდეომეთვალყურეობით შესასვლელებისა და სივრცის იზოლირებული ტერიტორიების დაფარვა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნარკოტიკების მოხმარების ან გაყიდვისთვის. ასევე, უცხოეთის ზოგიერთი კლუბში დანერგილია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მცირე ზომის სათვალთვალო კამერებით აღჭურვა.

ტუალეტის ზონების მეთვალყურეობა

კარგი პრაქტიკაა ტუალეტის ზონაში მომსახურე პერსონალის ყოლა, რათა ხელი შეუშალოს ადამიანების დიდი რაოდენობით თავმოყრას და ნარკოტიკების გაყიდვასა და მოხმარებას. ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროში ინდივიდების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალობის პატივისცემა და პერსონალს უნდა მიეცეს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოიცავს როდის არის მიზანშეწონილი პერსონალისთვის კაბინაში შესვლის მცდელობა და როდის უნდა მოიძიონ დახმარება, და ვისგან. ტუალეტის/გარდერობის მომსახურეებისთვის ასევე ფასდაუდებელია ტრენინგი იმ ადამიანების ამოცნობის მიზნით, რომლებიც საფრთხეში არიან ნარკოტიკების და/ან ალკოჰოლის მოხმარების გამო. დაბოლოს, ტუალეტში უნდა იყოს ბასრი საგნების უტილიზების კონტეინერი, რათა ნებისმიერი ნემსი უსაფრთხოდ განადგურდეს.

პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი/ პოსტი

ჯანმრთელობის პრობლემების პრევენცისა და სწრაფი და სწორი რეაგირებისთვის რეკომენდებულია, რომ კლუბებსა და ფესტივალებზე იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი ან პოსტი. ეს უნდა იყოს გრილი და წყნარი სივრცე, სადაც შესაძლებელია დაჯდომა ან დაწოლა, რომელიც შესაბამისად არის აღჭურვილი პირველადი დახმარების სწრაფად და სწორად ჩასატარებლად ან საჭიროების შემთხვევაში პროფესიული დახმარების მისაწოდებლად. ღონისძიების იმ მონაწილეებთან მუშაობა, რომლებსაც აქვთ ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული სხვადასხვა პრობლემა, ძირითადად გულისხმობს

კონფიდენციალობის დაცვით მათ დამშვიდებას და მხარდაჭერას მშვიდ, გრილ გარემოში, რაც შეუძლებელია ხალხით გადავსებულ საცეკვაო მოედანზე.

ასეთი ოთახისთვის აუცილებელი მინიმალური სამედიცინო აღჭურვილობაა:

- მინიმუმ ერთი სამედიცინო საწოლი
- ხელსაწყო სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსასაზღვრად (გლუკომეტრი)
- არტერიული წნევის საზომი აპარატი
- წყალი (ცივი, ცხელი)
- თერმომეტრი
- პირველადი დახმარების სამედიცინო ჩანთა/ნაკრები

ელექტრონული მუსიკის დიდ ღონისძიებებზე რეკომენდებულია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურების წინასწარ მობილიზება.

სახლში უსაფრთხოდ დაბრუნება

საცეკვაო ღონისძიებიდან შინ მიმავალი სტუმრები გარკვეული რისკის ქვეშ იმყოფებიან. ძირითადი რისკებია:

- ავტომობილის მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში;
- ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების გამო შეიძლება სჭირდებოდეთ სამედიცინო დახმარება;
- არაფხიზელ მდგომარეობაში ტოვებენ ღონისძიებას და შეიძლება გახდნენ უბედური შემთხვევის ან თავდასხმის მსხვერპლი.

ამ რისკების თავიდან ასაცილებლად, ფესტივალების ორგანიზატორებმა შეიძლება ბილეთის ფასში ჩასვან სტუმრების ავტობუსით ან მიკროავტობუსით სახლებში დარიგება, ობიექტებზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ.

კარის პერსონალი და სხვა თანამშრომლები ყურადღებით უნდა აკვირდებოდნენ ღონისძიების დატოვების პროცესში იმ სტუმრებს, რომლებიც სერიოზული ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ქვეშ იმყოფებიან, განსაკუთრებით, თუკი ისინი მარტო არიან. ასეთ სტუმრებს უნდა შეეთავაზოს პირველადი სამედიცინო დახმარება ან ოჯახის წევრებთან/მეგობრებთან დაკავშირება, რათა უსაფრთხოდ მივიდნენ სახლში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯანმრთელობის რისკს წარმოადგენს აგრეთვე შესაბამისი ტანსაცმლის გარეშე გადახურებული სტუმრის სიცივეში გასვლა.

დასრულების პერიოდი ან „დასვენების საათი“ - განათება, მუსიკა, რომლებიც ამზადებს სტუმრებს სივრცის დატოვებისთვის: ესენია უფრო ნელი და ხმადაბალი მუსიკის ჩართვა, განათების დონის მომატება.

ზოგადი უსაფრთხოების ზომები

ზოგადი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია მუსიკალური ღონისძიების ორგანიზების დროს:

→ სივრცის პოტენციურად სახიფათო ადგილებზე სტუმრების ყოფნის შეზღუდვა;

→ სასმელის მიწოდება პლასტმასის ან პოლიკარბონატული მინისგან დამზადებულ ჭიქებში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი იარაღად გამოყენება. ამ ჭიქებში უნდა ხდებოდეს სასმელის ბოთლიდან ჩამოსხმა;

→ ყველა მოწყობილობისა და განსაკუთრებით ელექტრული სისტემის დაცვა ძლიერი კონდენსაციისგან, რაც ხშირია საცეკვაო ღონისძიებებზე;

→ აკუსტიკური ხმაურის მაქსიმალური დონის იმგვარად დაყენება, რომ თავიდან იქნას აცილებული ღონისძიების სტუმრებისა და პერსონალის სმენის დაზიანება;

→ სტუმრების წინასწარი ინფორმირება ნებისმიერი სტრობოსკოპული ან ლაზერული განათების, კვამლის და სხვა სპეციალური ეფექტების გამოყენების შესახებ;

→ იატაკის მოლიპულობის თავიდან აცილება კონდენსაციის ან დაღვრილი სასმელების გამო;

→ გადაუდებელი ევაკუაციის პროცედურების დაგეგმვის დროს იმის გათვალისწინება, რომ ბევრი სტუმარი შეიძლება იმყოფებოდეს ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ;

→ სივრცე ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ ევაკუაციის საჭიროების დროს უზრუნველყოფილი იყოს სტუმრების თავისუფალი ნაკადი; უნდა განთავსდეს ნიშნები, რომლებიც ზღუდავს პოტენციურად საშიშ ადგილებზე მოხვედრას და მკაფიოდ მიუთითებს საგანგებო გასასვლელებზე;

→ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფეხზე დგომით სასმელის მიღება დაკავშირებულია მოხმარების უფრო სწრაფ ტემპებთან და სასმელის მეტი რაოდენობით მიღებასთან. ამან შეიძლება გაზარდოს უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეები. პერსონალმა სტუმრებს უნდა შესთავაზოს, რომ პერიოდულად დასხდნენ და დაისვენონ.

ხმაურის დონის შეზღუდვა

სმენის დაზიანების რისკის შესამცირებლად, ექსპერტები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ხმის კონტროლის სისტემები დაყენებული უნდა იყოს არაუმეტეს 90 დეციბელზე. გამაფრთხილებელი ნიშნები უნდა განთავსდეს

საცეკვაო მოედანზე და/ან სცენის მახლობლად, სადაც მითითებულია დინამიკებთან ახლოს ყოფნასთან დაკავშირებული რისკები. რეკომენდებულია ასევე და ყურის დამხშობების შეთავაზება უფასოდ ან დაბალ ფასებში. კლუბებში ყურის დამხშობების შეთავაზება შეიძლება ხდებოდეს შესასვლელში, გარდერობში ან ბარში, ხოლო მუსიკალურ ფესტივალებზე ან სხვა ღონისძიებებზე - ბარებში, საინფორმაციო სტენდთან, ფესტივალის კემპინგში, ფესტივალის მაღაზიაში, გარდერობში. ასევე, მნიშვნელოვანია თანამშრომლების დაცვა სმენის დაზიანებისაგან და მათი ყურის დამხშობებით უზრუნველყოფა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სმენის დაზიანების ხარისხს განაპირობებს არა მარტო აკუსტიკური ხმაურის დონე, არამედ მისი ექსპოზიციის ხანგრძლივობაც; ამიტომ, ხმაურში ყოფნის ხანგრძლივობის შეზღუდვაც მნიშვნელოვანია და ამის უზრუნველყოფა შესაძლებელია ე.წ. „დასვენების ზონებით“ ხშირად სარგებლობით.

2.2 ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის პრევენცია და შემცირება

ზიანის შემცირების კონცეფცია

ზიანის შემცირება ჯანმრთელობის ხელშეწყობის პრაგმატული მიდგომაა და მიზნად ისახავს ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული საფრთხის ან ზიანის შემცირებას. მიდგომა არ ამართლებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებას, მაგრამ მიზნად ისახავს ამ მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირებას კოორდინირებული რეაგირების გზით. ზიანის შემცირების სტრატეგიები ცდილობს, შექმნას უფრო უსაფრთხო გარემო და წაახალისოს უსაფრთხო ქცევები.

ელექტრონული მუსიკის ღონისძიებებზე ზიანის შემცირების მიდგომის ამოცანებია:

- ისეთი ინციდენტების რისკის შემცირება, როგორიცაა კონფლიქტი და ძალადობა და ინციდენტებსა და ჯანმრთელობის პრობლემებზე სწორად რეაგირება, პერსონალის ტრენინგისა და ინფორმირების გზით;

- სმენის დაზიანების რისკების შემცირება ინფორმაციისა და ყურის დამხშობების მიწოდებით;

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების რისკის შემცირება ინფორმაციის გავრცელებითა და კონდომების შეთავაზებით, უფასოდ ან დაბალი ფასებით;

- ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რისკის შემცირება პერსონალის სწავლებისა და წვეულების სტუმრების ინფორმირების გზით;

- სხეულის გაუწყლოების, გადახურებისა და გადაცივების რისკების შემცირება უფასო წყლის, ვენტილაციისა და გაგრილების ტექნიკის, საკმარისი დასვენების სივრცეებისა და გარდერობის შეთავაზებით სტუმრებისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ;

- ღონისძიების სტუმრების შინ უსაფრთხოდ დაბრუნებაზე ზრუნვა.

პერსონალის სწავლება

გასართობი დაწესებულებებისა და ღონისძიებების პერსონალს უწევს ისეთ სტუმრებთან ურთიერთობა, რომლებიც იმყოფებიან ალკოჰოლისა და/ან სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ავლენენ აგრესიას, უმართავ ან არაეთიკურ ქცევას. მათ სჭირდებათ სპეციალური სწავლება, რათა სწრაფად და ეფექტურად გაუმკლავდნენ არასასურველ სიტუაციებს და დახმარება გაუწიონ ღონისძიების სტუმრებს. რეკომენდებული ტრენინგებია: კონფლიქტის მართვა; ალკოჰოლსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა, პირველადი სამედიცინო დახმარების ჩათვლით; სექსუალურ შევიწროებასთან ან ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებთან გამკლავება.

ეფექტური კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია, რომ მასპინძელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეძლონ იმუშაონ ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან, ყოველგვარი წინასწარგანწყობისა და განსჯის გარეშე. განურჩევლად მათი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისა, ყველა სტუმართან გამოხატული უნდა იყოს ერთნაირი თავაზიანობა და პატივისცემა.

ალკოჰოლით და/ან სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული თრობის ქვეშ მყოფ სტუმრებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის მოწოდებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- არ ეკამათოთ თრობის ქვეშ მყოფ ადამიანს;

- არ ჩააყენოთ ის უხერხულ მდგომარეობაში, განსაკუთრებით, სხვების თანდასწრებით;

- სასაუბროდ გაიყვანეთ პრივატულ გარემოში;

- პირდაპირ და მტკიცედ უთხარით, რომ ის, რასაც ეს პირი აკეთებს, მიუღებელია ღონისძიების მასპინძლებისთვის;

- მოუსმინეთ და აგრძნობინეთ თანაგრძნობა;

- უთხარით, რომ გესმით მისი, მაგრამ შეახსენეთ, რომ თქვენ პასუხისმგებელი ხართ ყველა სტუმრის უსაფრთხოებაზე;

- თუ ვერ ახერხებთ სტუმრის დამშვიდებას ან დარწმუნებას, რომ შეწყვიტოს მიუღებელი ქცევა, თქვენს კოლეგას სთხოვეთ, რომ ჩაგანაცვლოთ და ის ეცადოს ან, თუ შესაძლებელია, მის მეგობარს სთხოვეთ დახმარება;

- თუ გადაწყვეტთ, რომ ამ პირს დაატოვებინოთ ღონისძიება, გახსოვდეთ, რომ კვლავინდებურად პასუხისმგებელი ხართ მის უსაფრთხოებაზე და მიიღეთ შესაბამისი ზომები (გამოუძახეთ, ტაქსი, სთხოვეთ ვინმეს, ვისაც ეს პირი ენდობა, გააცილოს სახლში და ა.შ.);

- გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებები იწვევს ფსიქიკური მდგომარეობის მრავალფეროვან ცვლილებებს - შეიძლება, თრობის ქვეშ მყოფ პირს არ ჰქონდეს ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სიმპტომები, მაგრამ ჰქონდეს აგზნება, შფოთვა, შიში, ფსიქოზი. უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიქიკური მდგომარეობასაც შეიძლება დასჭირდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

რისკის შემცირებაზე მიმართული ინფორმირება და განათლება

ღამის რეკრეაციულ გარემოში ზიანის პრევენციასა და შემცირებაზე მიმართული კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია და მიზნად ისახავს:

- ინფორმირებას ღამის ცხოვრების რისკების შესახებ;

- რეკრეაციული ქცევის უფრო უსაფრთხო მოდელების შეთავაზებას;

- ინფორმირებას ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკების შესახებ;

- ყველაზე გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების იდენტიფიცირებას და მათი ეფექტებისა და მოხმარების მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმირებას;

- ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ნივთიერებათა უსაფრთხო მოხმარების, უსაფრთხო სექსის, სმენის დაზიანებისა და სხვა საკითხების შესახებ სტუმრებისთვის ინფორმაციისა და რისკის შესამცირებელი გზავნილების მისაწოდებლად შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა საშუალება: პოსტერები, სტიკერები, ეკრანები, სმარტფონის აპლიკაცია, ვებ-საიტი, სოციალური მედია. ეფექტურად ითვლება თანასწორგანმანათლებლების გამოყენება.

სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით სტუმრებისთვის მისაწოდებელი გზავნილები მოცემულია ამ გზამკვლევის დანართში 1 (გვ. 36)

ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეულ ინციდენტებთან გამკლავება

ღონისძიების ორგანიზატორებმა და მასპინძლებმა მკაფიოდ უნდა იცოდნენ, თუ როგორ უპასუხებენ ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეულ პრობლემებს. ეს პრობლემები შეიძლება იყოს სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ხასიათისა და დახმარება უნდა იყოს სწრაფად და მარტივად ხელმისაწვდომი. სამედიცინო ჩარევების მასშტაბი და ტიპი სხვადასხვაგვარია. ქვემოთ მოწოდებული ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ზიანის იერარქია დაგეხმარებათ, აირჩიოთ მოქმედების საუკეთესო გზა პირთან ურთიერთობისას, რომელიც:



როდესაც ვფიქრობთ ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზიანზე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ არსებობს მოსალოდნელი ზიანის სიმძიმის სხვადასხვა დონე, რომელიც მოითხოვს პერსონალის სხვადასხვაგვარ რეაგირებას.

პირი იმყოფება ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ უსაფრთხოდაა

ინდივიდი აშკარად თრობის მდგომარეობაშია, მაგრამ ზიანის საფრთხე არ არსებობს არც მისთვის და არც ირგვლიმყოფებისთვის. ეს პირი შეიძლება ხმამაღლა საუბრობდეს, იყოს ცოტა აგზნებული ან ოდნავ ფეხიც ერეოდეს, მაგრამ თუ მდგომარეობა არ უარესდება, მას საფრთხე არ ემუქრება. პირის თრობის მდგომარეობა (ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკების საშუალებით) სულაც არ არის მისი სივრციდან გაყვანის საფუძველი, თუ მისი ქცევა არ არის მავნებლური, სხვების შეურაცხმყოფელი ან საშიში/საფრთხის შემცველი.

ხშირ შემთხვევაში, თრობის მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის ბევრად უფრო უსაფრთხოა ადგილზე დარჩენა, სადაც მათ პერსონალი აკვირდება, ვიდრე მარტო გაშვება.

პირი იმყოფება ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და ფიზიკურად საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ აქვს ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები

ასეთ მდგომარეობაში პირი შეიძლება ოყოს შეშფოთებული, შეშინებული, აღელვებული, დაბნეული ან გაბრაზებული. ეს შეიძლება იყოს ინტოქსიკაციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის არსებული პრობლემების ან რაღაც ინციდენტის შედეგი. ასეთ მდგომარეობაში პერსონალმა პირს რბილად უნდა ჰკითხოს, სჭირდება თუ არა მას დახმარება, თუნდაც ის მეგობრებთან ერთად იყოს; გაიყვანოს უფრო მშვიდ ადგილას ან იზრუნოს სამედიცინო დახმარებაზე, თუკი მისი ქცევა არასტაბილურია ან დროთა განმავლობაში არ გაუმჯობესდება.

პირი იმყოფება ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და მოწყვლადია

ამ ეტაპზე, პირის ინტოქსიკაციის ხარისხი მოწყვლადს ხდის მას ფიზიკური დაზიანებისადმი. ამის მაგალითია მარტო მოსული ქალი ან მამაკაცი, რომელიც ძალიან მთვრალია, ძლივს დგას ფეხზე და შეიძლება ტრავმა მიიღოს. ასეთ შემთხვევებში, პერსონალმა უნდა იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე, რომ შინ მშვიდობით დაბრუნდნენ.

პირი იმყოფება ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და საჭიროებს დაკვირვებას და, ზოგ შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებას

პირს შეიძლება თრობის ისეთი ხარისხი ჰქონდეს, რომ უჭირდეს სათანადო კომუნიკაცია. შეიძლება, სახეზე იყოს ერთი ან რამდენიმე გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ პირი იმყოფება თრობის საშიშ სტადიაზე (მაგ., ლუღლუღით მეტყველება; ფეხზე დგომის შეუძლებლობა; არ იცის, სად არის; კითხვებზე სათანადო პასუხს ვერ სცემს; თვალები დახუჭული აქვს, მაგრამ ჩაძახილზე რეაგირებს და ახელს თვალებს). ასეთ შემთხვევაში მას ესაჭიროება მეთვალყურეობა და სამედიცინო დახმარება.

პირი იმყოფება ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას

თუკი პირი იმყოფება უგონო მდგომარეობაში ან არ რეაგირებს გამღიზიანებლებზე, მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სჭირდება, რაც შეიძლება სწრაფად.

გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, თუ სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

- ცნობიერების დონე: პირი თვალებს ვერ ახელს; ჩაძახილზე არ რეაგირებს; რეაგირებს მხოლოდ მტკივნეულ გამღიზიანებელზე (თითის

ფრჩხილზე ან თვალბუდეზე ხელის დაჭერა); ან უგონოდაა და საერთოდ არ რეაგირებს;

- „გულის შეტევის“ მსგავსი ტკივილი გულმკერდის არეში (მკერდზე ზეწოლის ან გულმკერდის გარშემო ნახვევის შემოჭერის მსგავსი შეგრძნება);
- ნებისმიერი სახის კრუნჩხვა (მაგ, ეპილეფსიური გულყრის მსგავსი);
- ტემპერატურა: >38ºC არ ქვეითდება 15 წუთი დასვენების შემდეგ ან ტემპერატურა >40ºC ნებისმიერ დროს;
- გულისცემა: >140 დარტყმა წუთში არ მცირდება 15 წუთის განმავლობაში;
- სუნთქვის გაძნელება ან ჩქარი სუნთქვა, რომელიც არ ნორმალიზდება 15 წუთი დასვენების შემდეგ;
- არტერიული წნევა: სისტოლური <90 ან >180, დიასტოლური >110 ორი გაზომვისას 5 წუთის ინტერვალით;
- აბნეულობა, მნიშვნელოვანი აგზნება ან მნიშვნელოვანი აგრესია, რომელიც არ წყდება 15 წუთის განმავლობაში;
- სხვა ნიშნები (მაგ., ძლიერი თავის ტკივილი ან ღებინება, თავბრუხვევა, ფაღარათი, მხედველობის გაბუნდოვნება და სხვ.)
- ინციდენტის შემსწრე პერსონალი ეჭვობს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს სამედიცინო პრობლემები

ნალოქსონი

ნალოქსონი სწრაფად და ეფექტურად ხსნის ბუნებრივი და სინთეზური ოპიოიდების (ფენტანილი, ჰეროინი, ოქსიკოდონი, მორფინი, ჰიდრომორფინი, მეთადონი და სხვ.) მოქმედებას და გამოიყენება ოპიოიდებით ზედოზირებით გამოწვეული ცენტრალური ნერვული სისტემის და სასუნთქი სისტემის სიცოცხლისათვის საშიში დათრგუნვის დროს. როგორც წესი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემადგენლობა უცნობია და სხვა ნივთიერებებთან (მაგალითად, სტიმულანტები, ექსტაზი) ერთად ხშირად შეიცავს ოპიოიდებსაც (ფენტანილი). თუ ოპიოიდებით ზედოზირებაზე გეპარებათ ეჭვი, გამოიყენეთ ნალოქსონი. ნალოქსონი ზიანს არ მოუტანს ადამიანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არა აქვს ოპიოიდი მოხმარებული, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია.

ოპიოიდებით ზედოზირების ნიშნები

- ცნობიერება: დათრგუნული - არ ან მინიმალურად რეაგირებს ჩაძახილზე და/ან მტკივნეულ გამღიზიანებელზე
- სუნთქვა: ხმაურიანი (გამოსცემს ხრიალის, ხრჩობის ან ხვრინვის ხმებს), შენელებული (5 წამში ერთზე ნაკლები), არარეგულარული (სუნთქვის რითმი დარღვეულია) ან გაჩერებული (არ სუნთქავს)
- გუგები: შევიწროებული (წერტილოვანი)
- კანი: ცივი, ფერმკრთალი; გალურჯებული ტუჩები და ფრჩხილები

ამ სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, პირს დაუყოვნებლივ ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სანამ სასწრაფო მოვა, მანამდე რეკომენდებულია ნალოქსონის გამოყენება.

როგორ გავუკეთოთ ნალოქსონი?

- პირველ ჯერზე გაუკეთეთ ერთი ამპულა (0.4 მგ)
- ვენაში გაკეთებაზე დროს ნუ დახარჯავთ, გაუკეთეთ ინექცია დიდ კუნთში - ბარძაყის ან მკლავის ზედა ნაწილში. დროის მოგების მიზნით, შეგიძლიათ პირდაპირ ტანსაცმლის გავლით უჩხვლიტოთ.
- დააკვირდით. თუ დაზარალებული 3-5 წუთში არ მოვიდა გონზე, არ აღდგა სუნთქვა (წუთში 10) და მდგომარეობა უცვლელია, კვლავ გაიმეორეთ იგივე დოზით ინექცია.
- აუცილებელია მეთვალყურეობა გაეწიოს დაზარალებულს შემდეგი რამდენიმე საათის განმავლობაში, იმაში დასარწმუნებლად, რომ საფრთხემ ჩაიარა.
- ხანგრძლივი მოქმედების ოპიოიდებით ზედოზირებისას მათი მოქმედების ხანგრძლივობა შეიძლება ნალოქსონის ზემოქმედებაზე დიდხანს გაგრძელდეს, ამიტომ უმჯობესია დაზარალებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა.

ნარკოტიკული საშუალებების შემოწმება

ნარკოტიკების შემოწმება არის ზიანის შემცირების ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას იმ ნივთიერებების შემადგენლობასა და სისუფთავეზე, რომელთა მოხმარებასაც აპირებენ. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გააკეთონ უსაფრთხო არჩევანი: მოერიდონ უფრო საშიში ნივთიერებების მოხმარებას, გამოიყენონ მცირე რაოდენობით და თავიდან აიცილონ საფრთხის შემცველი კომბინაციები. ასევე, ამგვარი მომსახურებით შესაძლებელია ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სიტუაციების მონიტორირება.

განსხვავებულია ნარკოტიკული საშუალებების შემოწმების სერვისებისათვის გამოყენებული ტექნოლოგიები: ეს შეიძლება იყოს დახვეწილი ტექნოლოგია, რომელიც იძლევა ინფორმაციას ნივთიერებების კონცენტრაციასა და შემცველობაზე ან თვით-ტესტირების ნაკრები, რომელიც უბრალოდ აჩვენებს კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების და/ან კონკრეტული ნივთიერების არსებობას ან არარსებობას ნიმუშში.

ნარკოტიკული საშუალებების შესამოწმებლად გამოიყენება ქიმიური ანალიზის სხვადასხვა მეთოდები, მარტივი რეაგენტზე-დაფუძნებული ტესტირების ტექნიკით დაწყებული, უფრო დახვეწილი ქრომატოგრაფიით და სპექტროსკოპიითა თუ მასიური სპექტრომეტრიით დამთავრებული.

კონდომების მიწოდება

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და არასასურველი ორსულობების თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზატორებმა უზრუნველყონ ადგილზე კონდომების ხელმისაწვდომობა უფასოდ ან დაბალ ფასად.

3. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტი

ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციის ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკა - ეს არის დოკუმენტი (ორგანიზაციის კოდექსი), რომელშიც მკაფიოდ არის ფორმულირებული ორგანიზაციის პოზიცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებაში, განმარტებულია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურები და ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ზიანის პრევენციისა და შემცირების გზები. ეს არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მუდმივად იცვლება და ვითარდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სიტუაციის ცვლილების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ბარების, ღამის კლუბებისა და ფესტივალებისთვის ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის არსებობის კანონიერი მოთხოვნა არ არის, ასეთი პოლიტიკის სარგებელი ძალიან ნათელია:

- ეს არის იმის დემონსტრირება, რომ ორგანიზაცია ცდილობს, დაიცვას თავისი სტუმრების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- უზრუნველყოფს დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;
- უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას კანონის ფარგლებში;
- საქმიანობის პრობლემური ასპექტების წინასწარი განხილვისა და რეაგირების გზების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოცემულია დოკუმენტის სავარაუდო ფორმატი და სტრუქტურა, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციებს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში. ჩვენ არ გთავაზობთ პოლიტიკის დოკუმენტის გამზადებულ მოდელს ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, თითოეულმა ობიექტმა ან ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც მისთვის შესაფერისი და შესაბამისია, და არა

ავტომატურად მიიღოს განზოგადებული ვერსია; და მეორე, პოლიტიკის შემუშავების პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად პოლიტიკა - პროცესი საშუალებას აძლევს მენეჯერებს და პერსონალს, ყურადღებით განიხილონ კონკრეტული საკითხები და მათზე რეაგირების საუკეთესო გზები. პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა და განახლება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად, რადგან ნარკოსცენა მუდმივად იცვლება და არ უნდა გამოგვრჩეს ახალი გამოწვევები.

3.1 ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციების შეფასების ინსტრუმენტი

ღამის ცხოვრების ღონისძიებების ორგანიზება გარკვეულ რისკებს შეიცავს. სხვა საკითხებთან ერთად, ეს რისკები დაკავშირებულია სტუმრების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთანაც. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ყველა რისკის აღმოფხვრა, შესაძლებელია ამ რისკების მინიმუმამდე შემცირება ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციების მიდგომებსა და საქმიანობაში გარკვეული ცვლილებების შეტანით. რისკების შემცირება ხელს შეუწყობს სტუმრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ორგანიზაციებისთვის კარგად არის ცნობილი საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, ქვემოთ მოცემული შეფასების ინსტუმენტი საშუალებას მისცემს ორგანიზაციების მფლობელებსა და მენეჯერებს, კიდევ ერთხელ გადახედონ არსებულ რისკებს და დაგეგმონ შესაბამისი ცვლილებები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პოლიტიკის შექმნის პროცესის წინ.

ინსტრუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში მოცემულია რისკების შეფასების კითხვარი, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა ცვლილებათა გეგმას.

ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციების შეფასების ინსტრუმენტი

ორგანიზაციების მფლობელებისა და მენეჯერებისთვის

<u>ნაწილი პირველი. რისკების შეფასების კითხვარი</u>

A. ღონისძიებაზე შესვლა

	<u>შემოხაზეთ ერთ-ერთი</u>				
	არასოდეს ან თითქმის არასოდეს	იშვიათად	ზოგჯერ	საკმაოდ ხშირად	ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის
1. გაქვთ თუ არა შესვლისას სტუმრების შემოწმების პროცედურა?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
2. აკვირდებით თუა არა, ხომ არ იმყოფება თქვენი პოტენციური სტუმარი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
3. დანერგილი გაქვთ თუ არა სივრცის ხალხით გადავსების (ხალხმრავლობის) პრევენციის სისტემა?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
თუკი შემოსვლამდე სტუმრებს რიგში დგომა უწევთ: *(თუ რიგები არასოდეს გაქვთ, გადადით B სექციაზე)*					
4. აკვირდებით თუ არა მათ, ხომ არ მოიხმარენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკს რიგში ყოფნის დროს?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
5. აფრთხილებთ თუ არა რიგში მდგომ ახალგაზრდებს ან ხომ არა გაქვთ შესასვლელთან გამოკრული ინფორმაცია, რომ არასრულწლოვანები არ დაიშვებიან და დასჭირდებათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
6. ახდენთ თუ არა ურიგოდ შესვლის პრევენციას?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**

<u>ამ კითხვებზე მაღალი ქულები მიუთითებს დაბალ რისკებზე</u>

განმარტებები:

1. შემოწმების პროცედურა ამცირებს ტერიტორიაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების, იარაღისა და სხვა აკრძალული ნივთების შეტანის ალბათობას.

2. ალკოჰოლითა და/ან სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებებით სერიოზული თრობის მგომარეობაში მყოფმა პირებმა შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას ღონისძიების მიმდინარეობის დროს. მოგვიანებით აღმოცენებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, მათ შესვლამდე ეთქვათ უარი.

3. სივრცის ხალხით გადავსებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესიული ქცევა, ხელი შეუწყოს ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი სტუმრების გადახურებას და გაუწყლოვებას; გამოიწვიოს პრობლემები საგანგებო ევაკუაციის საჭიროების აღმოცენების შემთხვევაში.

4. თუ პოტენციური სტუმარი უშუალოდ შემოსვლის წინ მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, არსებობს ალბათობა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ნივთიერების ეფექტი გამოვლინდება, ამ პირს შეექმნას გარკვეული პრობლემები.

5. ახალგაზრდა სტუმრებმა კართან მისვლამდე უნდა იცოდნენ, რომ შესასვლელად მათ დასჭირდებათ პირადობის მოწმობა. პრობლემები შეიძლება წარმოიშვას კართან, თუ ვინმე დიდხანს ელოდება რიგში და შემდეგ არ უშვებენ.

6. ვინმეს ურიგოდ შეშვება გზავნილია დანარჩენებისთვის, რომ წესების დარღვევა მისაღებია.

B. უსაფრთხო და მეგობრული ატმოსფერო

	შემოხაზეთ ერთ-ერთი				
	არასოდეს ან თითქმის არასოდეს	იშვიათად	ზოგჯერ	საკმაოდ ხშირად	ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის
1. ხელს უშლით თუ არა აგრესიულ ან არაეთიკურ ქცევას?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
2. ხელს უშლით თუ არა თქვენს სტუმრებს შორის ღია სექსუალურ ქცევას?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
3. ზღუდავთ თუ არა აკრძალული ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანას, ადგილზე მოხმარებასა და გაყიდვას?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
4. გაქვთ თუ არა მკაფიო და გონივრული წესები სტუმრებისათვის?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
თქვენი უსაფრთხოების სამსახური და/ან სხვა					

პერსონალი:					
5. თვალყურს ადევნებს თუ არა სტუმრებს შორის უსიამოვნების ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების ნიშნებს და ესაუბრება თუ არა მათ?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
6. ასეთ შემთხვევებში, გაჰყავთ თუ არა სტუმარი ცალკე, რათა პრივატულ გარემოში სცადონ პრობლემის მოგვარება?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
7. თავაზიანად და პატივისცემით ექცევა თუ არა ყველა სტუმარს, განურჩევლად მათი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობისა?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**

<u>ამ კითხვებზე მაღალი ქულები მიუთითებს დაბალ რისკებზე</u>

განმარტებები:

1. აგრესიული ან არაეთიკური ქცევის თავიდან ასაცილებლად, შემუშავებული უნდა იყოს წესები, რომელთა შესახებაც სტუმრები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

2. თუკი დაშვებული იქნება ღია და აშკარა სექსუალური ქცევა, ამან შეიძლება გამოიწვიოს აგრესია და ძალადობა. სასურველია, არსებობდეს სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული მკაფიო სტანდარტები.

3. როდესაც მასპინძლები არ მიესალმებიან ტერიტორიაზე ნარკოტიკების რეალიზაციას ან ადგილზე ნარკოტიკების მოხმარებას, ეს არის სტუმრებისათვის მკაფიო გზავნილი, რომ ორგანიზაციას გააჩნია მისაღები ქცევების სტანდარტი.

4. სტუმრები უფრო წამოვლენ თანამშრომლობაზე, თუკი ეცადინებათ, რომ წესები მათ უსაფრთხოებას ემსახურება.

5. აგრესიასთან, ძალადობასთან ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის დროული აღმოჩენა ხელს უწყობს სიტუაციის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილებას. მნიშვნელოვანია, რომ პერსონალს გააჩნდეს კომუნიკაციის და ალკოჰოლსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის კარგი უნარები.

6. თუ შესაძლებელია, პერსონალმა ცალკე უნდა გაიყვანოს ინციდენტთან დაკავშირებული პირი/პირები. ეს საშუალებას აძლევს პირს, დამშვიდდეს და ისაუბროს პერსონალთან სხვა ადამიანების ჩარევის გარეშე. პრივატულ გარემოში საუბარი და საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი ინციდენტი ეხება ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს.

7. სიტუაცია შეიძლება უკონტროლო გახდეს, თუკი უსაფრთხოების სამსახური ან სხვა პერსონალი დაკარგავს მოთმინებას და წყობიდან გამოვა. პრობლემები შეიძლება იმ

შემთხვევებშიც აღმოცენდეს, როდესაც გარკვეული ქცევა ხან დასაშვებია, ხან - არა. მშვიდი, თანამიმდევრული, თავაზიანი და პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომა გამოიღებს საუკეთესო შედეგს.

C. სივრცის მახასიათებლები

იწვევს თუ არა თქვენი სივრცის განლაგება ქვემოთ ჩამოთვლილ პოტენციურ პრობლემებს?	*შემოხაზეთ ერთ-ერთი*				
	არასოდეს ან თითქმის არასოდეს	იშვიათად	ზოგჯერ	საკმაოდ ხშირად	ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის
1. რიგები ბარში ან ტუალეტში	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
2. სტუმრები, რომლებიც იღებენ სასმელს ბარიდან, ხშირად ეჯახებიან სხვა სტუმრებს	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
3. სივრცის გარკვეული ადგილები ძალიან ხალხმრავალია	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
4. პერსონალს და სტუმრებს უჭირთ სივრცის ერთი ნაწილიდან მეორეში გადაადგილება	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
5. ადამიანები ხშირად და ბევრს მოძრაობენ	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
6. თანამშრომლებს უჭირთ სივრცის ზოგიერთზე ზონაზე თვალყურის დევნება, რადგან ეს ზონები არ ხვდება მათი თვალთახედვის ქვეშ ან ცუდად განათებულია.	**1**	**2**	**3**	**4**	**5**

ამ კითხვებზე დაბალი ქულები მიუთითებს დაბალ რისკებზე

განმარტებები:

1. გრძელმა რიგებმა შეიძლება გააღიზიანოს სტუმრები და გამოიწვიოს პრობლემები.

2. ბართან შექუჩებული ადამიანების დიდი რაოდენობა ზრდის სტუმრებს შორის ფიზიკური კონტაქტის, დაღვრილი სასმელებისა და უსიამოვნების ალბათობას.

3. სივრცის საერთო ტევადობა გადაჭარბებული რომც არ იყოს, მნიშვნელოვანია ლოკალური

ხალხმრავლობის თავიდან აცილება, როდესაც მომხმარებელთა დიდი მაწილი მცირე პოპულარულ ზონებშია თავმოყრილი.

4. ბართან, დერეფნებში და სხვა ადგილებში ხალხმრავლობამ შეიძლება გამოიწვიოს სტუმრებს შორის არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, სასმელის დაღვრა და გარკვეული შეხლა-შემოხლა. თანამშრომლების თავისუფლად გადაადგილების შეფერხებები ასევე ამცირებს მათ უნარს, დროული რეაგირება მოახდინონ პრობლემურ სიტუაციებზე.

5. სტუმრების მუდმივი მოძრაობა ასევე პოტენციური რისკის შემცველია. სტუმართა ნაკადის მოძრაობასთან დაკავშირებელი რისკების შესამცირებლად, სასურველია: არსებობდეს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის არაერთი ზონა, რამდენიმე ტუალეტი და რამდენიმე შესასვლელი და გასასვლელი, ადამიანების ინტენსიური მოძრაობის ზონებისთვის შედარებით დიდი ფართობის გამოყოფა, განსაკუთრებით, დიდი სივრცეებში.

6. როდესაც პერსონალს უჭირს გარკვეული საფრთხის შემცველი ზონების გაკონტროლება, ეს ზრდის არასასურველი ინციდენტების აღმოცენებისა და მათზე სათანადო რეაგირების დაგვიანების რისკებს.

D. სტუმრების ფიზიკური კომფორტი და უსაფრთხოება

როგორ შეაფასებდით თქვენს სივრცეს დატვირთულ ღამეებში?	*შემოხაზეთ ერთ-ერთი*		
1. აკუსტიკური ხმაურის დონე	**1** ზომიერი ხმაური	**2** ძალიან ხმამაღლა	**3** ხმაურის დონემ შეიძლება დააზიანოს სმენა
2. ჰაერის სისუფთავე	**1** სუფთა	**2** ცოტა ჩახუთული	**3** ძალიან ჩახუთული
3. სივრცის ტემპერატურა	**1** კომფორტული	**2** ზოგჯერ საკმაოდ ცხელა ან გრილა	**3** ხშირად საკმაოდ ცხელა ან გრილა
4. ცარიელი ბოთლები და ჭიქები ბარის ზედაპირზე ან სხვა ადგილებში	**1** ყოველთვის ვიღებთ ცარიელ ჭურჭელს	**2** პერიოდულად ვიღებთ ცარიელ ჭურჭელს	**3** ცარიელი ჭურჭელი რჩება ადგილზე
5. იატაკზე დაღვრილი სასმელი, შუშის ნამსხვრევები ან სხვა საფრთხის შემცველი საგნები	**1** სულ ვასუფთავებთ იატაკს	**2** თითქმის სულ ვასუფთავებთ იატაკს	**3** ზოგჯერ იატაკი მოლიპულია დაღვრილი სითხის გამო, არის

			შუშის ნამსხვრევებიც
6. ტუალეტის ზონების მეთვალყურეობა	**1** ეს ზონა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა	**2** ყოველთვის ვერ ვახერხებთ მეთვალყურეობას	**3** ტუალეტის ზონა არ კონტროლდება
7. დასვენების ზონები	**1** დასვენების ზონები საკმაოდ ტევადია, რომ ყველა მსურველი დაიტიოს	**2** დასვენების ზონის ტევადობა არ არის საკმარისი	**3** დასვენების ზონები არა გვაქვს

<u>ამ კითხვებზე დაბალი ქულები მიუთითებს დაბალ რისკებზე</u>

განმარტებები:

1. აკუსტიკური ხმაურის მაღალი დონე ზრდის სტუმრებისა და პერსონალის სმენის დაზიანების რისკს; ამას გარდა, ძალიან ხმამაღალი და ჩქარი მუსიკა აგრესიულობის დონესაც ამაღლებს.

2. და 3. დახურულ სივრცეებში ჰაერის სისუფთავის, ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია სტუმრების კომფორტისა და უსაფრთხოებისათვის. ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს, იზრდება სტუმრების გადახურების რისკი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი იმყოფებიან გარკვეული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

4. და 5. ცარიელი ბოთლები, შუშის ნამსხვრევები და იატაკზე დაღვრილი სითხე ამაღლებს სტუმრების დაზიანების რისკს; ამას გარდა, სივრის ცარიელი ბოთლებისაგან და ნამსხვრევებისაგან გაწმენდა მათი იარაღად გამოწყენების პრევენციის საშუალებაა.

6. ტუალეტის ზონის მუდმივი მეთვალყურეობა ხელს უშლის ადამიანების დიდი რაოდენობით თავმოყრას და ნარკოტიკების გაყიდვასა და მოხმარებას.

7. სტუმრების გადახურების, გაუწყლოებისა და სმენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა არსებობდეს „დასვენების ზონები“ - შედარებით გრილი ოთახები/სივრცეები, კომფორტული დასაჯდომებით, სადაც არ არის მუსიკა ან უკრავს ხმადაბალი, მშვიდი, ნელი მუსიკა.

E. ღონისძიების დასრულება

ღონისძიების დასრულების წინ:	*შემოხაზეთ ერთ-ერთი*				
	არასოდეს ან თითქმის არასოდეს	იშვიათად	ზოგჯერ	საკმაოდ ხშირად	ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის
1. ახალისებთ თუ არა თქვენს სტუმრებს, გადაერთონ უალკოჰოლო სასმელებზე?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
2. დასრულების დროის მოახლოების კვალდაკვალ, ცდილობთ თუ არა, რომ გადახვიდეთ უფრო ნელ და ხმადაბალ მუსიკაზე?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
3. აკვირდებით თუ არა ღონისძიების დატოვების პროცესში იმ სტუმრებს, რომლებიც სერიოზული ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ქვეშ იმყოფებიან?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
4. ცდილობთ თუ არა, გაუმკლავდეთ ხალხმრავლობას გასასვლელებთან, როცა ხალხი ტოვებს ღონისძიებას?	**1**	**2**	**3**	**4**	**5**

ამ კითხვებზე მაღალი ქულები მიუთითებს დაბალ რისკებზე

განმარტებები:

ღონისძიების დასრულების დროს და შემდეგაც შეიძლება აღმოცენდეს პრობლემები. პრობლემების უმეტესობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივობა, ხმაური და მუსიკა პიკს აღწევს დახურვის მომენტში და აჟიტირებული ხალხი ტოვებს ღონისძიებას. შეეცადეთ, მოამზადოთ სტუმრები ღონისძიების დასრულებისათვის.

1. თუ დაეხმარებით სტუმრებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შემცირებაში ღონისძიების მიწურულს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გასვლისას ისინი სერიოზული ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში იყვნენ. ძალადობისა და ინციდენტების რისკი იზრდება, თუ ადამიანები წასვლისას ნასვამები არიან.

2. დასრულების პერიოდი ან „დასვენების საათი“ - განათება, მუსიკა და პერსონალის ღონისძიებები, რომლებიც ამზადებს სტუმრებს სივრცის დატოვებისთვის: ესენია უფრო ნელი და ხმადაბალი მუსიკის ჩართვა, განათების დონის მომატება.

3. ის სტუმრები, რომლებიც ღონისძიების დატოვების პროცესში სერიოზული ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ქვეშ იმყოფებიან, შეიძლება, ხიფათს გადაეყარონ, განსაკუთრებით, თუკი ისინი მარტო არიან. ასეთ სტუმრებს უნდა შეეთავაზოს პირველადი სამედიცინო დახმარება ან ოჯახის წევრებთან/მეგობრებთან დაკავშირება, რათა უსაფრთხოდ მივიდნენ სახლში.

4. როდესაც დიდი რაოდენობით სტუმარი ერთდროულად ტოვებს ღონისძიებას, პრობლემების თვიდან აცილება შესაძლებელია რამდენიმე გასასვლელის შეთავაზებით

F. ზიანის შემცირება

	შემოხაზეთ ერთ-ერთი	
1. აწვდით თუ არა თქვენს სტუმრებს უფასოდ სასმელ წყალს?	**დიახ**	**არა**
2. ხელმისაწვდომია თუ არა უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელები?	**დიახ**	**არა**
3. აწვდით თუ არა სტუმრებს სასმელს პლასტმასის ან პოლიკარბონატული მინისგან დამზადებული ჭურჭლით?	**დიახ**	**არა**
4. ხელმისაწვდომია თუ არა საკვები?	**დიახ**	**არა**
5. გაქვთ თუ არა პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი/ პოსტი?	**დიახ**	**არა**
6. აწვდით თუ არა სტუმრებს ინფორმაციას ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკების შესახებ?	**დიახ**	**არა**
7. აწვდით თუ არა თქვენს სტუმრებს კონდომებს?	**დიახ**	**არა**
8. გაქვთ თუ არა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტი?	**დიახ**	**არა**

ყველა კითხვაზე “დიახ” პასუხი მიუთითებს დაბალ რისკებზე

განმარტებები:

1. და 2. გადახურებისა და გაუწყლოვების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიების ყველა მონაწილეს ჰქონდეს წვდომა სასმელ წყალსა და არაალკოჰოლურ გამაგრილებელ სასმელებზე. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მოიხმარეს ალკოჰოლი და ნარკოტიკები.

3. პლასტმასის ან პოლიკარბონატული მინისგან დამზადებული ჭიქებით სასმელის მიწოდებით თავიდან აიცილებთ მათ იარაღად გამოყენებას.

4. ენერგიის ნაკლებობისა და გამოფიტვის, მშიერ კუჭზე ალკოჰოლის მიღების თავიდან ასაცილებლად, ასევე მნიშვნელოვანია წასახემსი პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

5. ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციისა და სწრაფი და სწორი რეაგირებისთვის რეკომენდებულია, რომ კლუბებსა და ფესტივალებზე იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი ან პოსტი. ეს უნდა იყოს გრილი და წყნარი სივრცე ჯდომისა და დაწოლის შესაძლებლობით, რომელიც შესაბამისად არის აღჭურვილი პირველადი დახმარების სწრაფად და სწორად ჩასატარებლად ან საჭიროების შემთხვევაში პროფესიული დახმარების მისაწოდებლად.

6. მუდმივად უნდა ხდებოდეს ალკოჰოლისა და/ან სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა უსაფრთხო მოხმარების, უსაფრთხო სექსის, სმენის დაზიანებისა და სხვა საკითხების შესახებ სტუმრებისთვის ინფორმაციისა და რისკის შესამცირებელი გზავნილების მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით.

7. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და არასასურველი ორსულობების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზატორებმა უზრუნველყონ ადგილზე კონდომების ხელმისაწვდომობა უფასოდ ან დაბალ ფასად.

8. ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო კულტურის სფეროში შემავალი ორგანიზაციის ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკა - ეს არის დოკუმენტი (ორგანიზაციის კოდექსი), რომელშიც მკაფიოდ არის ფორმულირებული ორგანიზაციის პოზიცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებაში, განმარტებულია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურები და ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ზიანის პრევენციისა და შემცირების გზები.

G. პერსონალი

1. რა სახის ტრენინგები აქვს გავლილი თქვენს პერონალს ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით და რა ტრენინგებია საჭირო პერსონალის სხვადასხვა ჯგუფებისთვის (კარის პერსონალი, უსაფრთხოების სამსახური, სამედიცინო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირები, მთელი პერონალი) რისკების შესამცირებლად?

_____

_____

_____

_____

2. აქვს თუ არა პერსონალს მკაფიო მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და როგორ უნდა დაატოვებინონ სტუმარს ღონისძიება? როგორ გაუმკლავდნენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებს? რა მითითებები?

H. სხვა საკითხები

<u>ნაწილი მეორე. ცვლილებათა გეგმა</u>

ქვემოთ მოცემული დიაგრამა დაგეხმარებათ, განსაზღვროთ და დაგეგმოთ ცვლილებები თქვენი ორგანიზაციის უსაფრთხოების გასაძლიერებლად და თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად. შეავსეთ ეს დიაგრამა თქვენი ორგანიზაციის შეფასების კითხვარის შევსებისა და შესაბამისი განმარტებების გაცნობის შემდეგ.

A. **ღონისძიებაზე შესვლა**	
პერსონალისა და სტუმრების უსაფრთხოების გაუმჯობესების გეგმა	***ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები***
B. **უსაფრთხო და მეგობრული ატმოსფერო**	
გეგმა უფრო უსაფრთხო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად	***ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები***
C. **სივრცის მახასიათებლები**	
სივრცის გაუმჯობესების გეგმა	***ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები***
D. **სტუმრების ფიზიკური კომფორტი და უსაფრთხოება**	

სტუმრების ფიზიკური კომფორტისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების გეგმა	*ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები*
E. **ღონისძიების დასრულება**	
ღონისძიების უფრო უსაფრთხოდ დასრულების გეგმა	*ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები*
F. **ზიანის შემცირება**	
ზიანის შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების გაძლიერების გეგმა	*ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები*
G. **პერსონალი**	
პერსონალთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა	*ცვლილების სავარაუდო თარიღი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები*

H. **სხვა საკითხები**

3.2 პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

გარეკანი

გარეკანზე (პირველ გვერდზე) მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის დასახელება, ორგანიზაციის მოკლე აღწერა, პოლიტიკის შექმნის თარიღი შემდგომი გადასინჯვის სავარაუდო თარიღის მითითებით.

პოლიტიკის დანიშნულება

იწერება პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, ღირებულებები და ნორმები; პოლიტიკის მასშტაბი - დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული პოლიტიკის მოქმედების არეალი (გეოგრაფიული საზღვრები და დროის მონაკვეთი) - სად და რა დროს არის ორგანიზაცია პასუხისმგებელი მოცემული პოლიტიკის იმპლემენტაციაზე.

პერსონალი და პოლიტიკა

დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, თუ როგორ იქნება პერსონალი ინფორმირებული პოლიტიკის შესახებ (სემინარი, ტრენინგი ან ინფორმაციის გაზიარების სხვა გზები), როგორ მოხდება განხორციელების მონიტორინგი.

სტუმრები და პოლიტიკა

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუმრებსაც ჰქონდეს ინფორმაცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ. პოლიტიკის დოკუმეტში უნდა ეწეროს, რა გზით მოხდება სტუმრების ინფორმირება.

ნარკოტიკების/სხვა აკრძალული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ტერიტორიაზე შეტანის პრევენცია

პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ძალიან მკაფიო პროცედურები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ნარკოტიკების რაოდენობა, რომელიც შეიძლება მოხვდეს ტერიტორიაზე. უნდა არსებობდეს შემოწმების პოლიტიკა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემოწმების ფორმასა და კანონზომიერებას, საჩივრების პროცედურას და ნარკოტიკების აღმოჩენის პროცედურას - რა ნაბიჯები იდგმება ნარკოტიკის აღმოჩენის შემთხვევაში.

ტერიტორიაზე ნარკოტიკების/სხვა აკრძალული ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების პრევენცია

უნდა გაიწეროს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყობენ ღონისძიებაზე ნარკოტიკების გასაღების პრევენციას - კარის პერსონალისა და სხვა თანამშრომლების მოვალეობები, ტერიტორიის რეგულარული მონიტორინგი, განსაკუთრებით, იმ ადგილების, სადაც შესაძლებელია, გაიყიდოს ნარკოტიკები, ტუალეტის ზონების კონტროლი, ვიდეომეთვალყურეობა, ინციდენტის შემთხვევაში რეაგირების ზომები და სხვა მსგავს ორგანიზაციებთან კომუნიკაციის სისტემა (როგორ შევატყობინოთ სხვა მსგავს ორგანიზაციებს იმ პირის შესახებ, ვინც შემჩნეულია ნარკოტიკების გასაღებაში და როგორ მივიღოთ მათგან იგივე ინფორმაცია).

ტერიტორიაზე ნარკოტიკის/სხვა აკრძალული ფსიქოაქტიური ნივთიერების აღმოჩენა ან ნარკოტიკების მოხმარების ფაქტის დაფიქსირება

უნდა გაიწეროს პროცედურა, რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული ნარკოტიკების აღმოჩენის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუკი სტუმარი ადგილზე მოიხმარს ნარკოტიკს.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

პოლიტიკაში უნდა იყოს განსაზღვრული პერსონალის როლები და მათ მიმართ მოლოდინები, ვის რა ევალება სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამას გარდა, ამ ნაწილში იწერება პროცედურები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სივრცის ხალხით გადავსების პრევენცია
- კლიმატის კონტროლი
- სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა
- გადახურების საწინააღმდეგო დამატებითი ზომები
- ხმაურის დონის შეზღუდვა
- სახლში უსაფრთხოდ დაბრუნება

ზიანის შემცირებაზე მიმართული ინფორმირება და განათლება

კომუნიკაციის რა ფორმები იქნება გამოყენებული ნივთიერებათა უსაფრთხო მოხმარების, უსაფრთხო სექსის, სმენის დაზიანებისა და სხვა საკითხების შესახებ სტუმრებისთვის ინფორმაციისა და რისკის შესამცირებელი გზავნილების მისაწოდებლად; ზიანის შემცირებაზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშღომლობა; ნარკოტიკებზე ტესტირება; კონდომების მიწოდება და სხვ.

საგანგებო სამედიცინო სიტუაციებთან გამკლავება

პოლიტიკა უნდა შეიცავდეს მკაფიო ინსტრუქციებს პერსონალისთვის, თუ როგორ მოიქცნენ საგანგებო სიტუაციებში. მასში უნდა იყოს მითითებული, როდის უნდა დაეხმარონ თავად სამედიცინო პრობლემების მქონე სტუმარს და რა ვითარებაში უნდა გამოიძახონ სასწრაფო დახმარება. უნდა დაინერგოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ახალი ტენდენციებისა და გავრცელებული სამედიცინო შედეგის შესახებ.

პერსონალის ტრენინგი

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა ეფექტურად იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი პერსონალი აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით. პოლიტიკა უნდა მოიცავდეს დეტალებს ტრენინგის მოლოდინების შესახებ პერსონალის სხვადასხვა ჯგუფისთვის (კარის პერსონალი, უსაფრთხოების სამსახური, სამედიცინო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირები, მთელი პერონალი.)

დანართი 1. ზიანის შემცირების გზავნილები

თვალი ადევნეთ თქვენს სასმისს და არ დატოვოთ უყურადღებოდ, რათა ვინმემ რაღაც არ ჩაგიყაროთ სასმელში.

მიიღეთ საკვები სმის დაწყებამდე და სმის დროს.

ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ერთდროული მიღება არაპროგნოზირებად ეფექტს იძლევა და ზრდის ზედოზირების, ჯანმრთელობის სხვა პრობლემების განვითარებისა და ტრავმების რისკს.

დღეისათვის გავრცელებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებამ, განსაკუთრებით, ალკოჰოლთან კომბინაციაში, შეიძლება გამოიწვიოს ოპიოიდებით ზედოზირება.

თავის ტვინზე ალკოჰოლის დამთრგუნველმა მოქმედებამ შეიძლება დაჩრდილოს სტიმულანტების ეფექტი, რაც ზრდის ზედოზირების რისკს.

ალკოჰოლი, ექსტაზი და სხვა სტიმულანტები იწვევს ორგანიზმის დეჰიდრატაციას (გამოშრობას, გაუწყლოებას).

მსუბუქი და ზომიერი დეჰიდრატაციის სიმპტომებია გაღიზიანებადობა, წყურვილი, პირის სიმშრალე, შარდის რაოდენობის შემცირება ან მუქი შარდი, კანის სიმშრალე (ოფლი არ გამოიყოფა თუნდაც სიცხეში და ცეკვის დროს), თავის ტკივილი, კუნთების შეკრთომები, დაღლილობა.

თუ გაქვთ დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) ნიშნები, შეწყვიტეთ ცეკვა, გადით გრილ ადგილზე და ნელ-ნელა, ყლუპებით დაიწყეთ წყლის მიღება.

ორგანიზმის გამოშრობისა და გაუწყლოების თავიდან ასაცილებლად, ყოველ საათში მიიღეთ **2 ჭიქა წყალი,** განსაკუთრებით მაშინ, თუ ოფლიანდებით.

კოფეინისა და შაქრის შემცველი სასმელები ზრდის დეჰიდრატაციას (ორგანიზმის გაუწყლოებას).

ექსტაზისა და სხვა სტიმულანტების მოხმარების შემთხვევაში, დაკარგული სითხის შესავსებად არ არის რეკომენდებული მინერალური სასმელი წყლის გამოყენება.

მცირე რაოდენობით წყლის მიღება ხელს შეუწყობს ორგანიზმის გაუწყლოებას, ხოლო გადაჭარბებული რაოდენობით მიღება გამოიწვევს ე.წ. წყლით ინტოქსიკაციას.

ძალიან ბევრი წყლის დალევა შეიძლება საშიში იყოს და ორგანიზმში ნატრიუმის დონის დაქვეითება (ჰიპონატრიემია) გამოიწვიოს, განსაკუთრებით, ექსტაზისა და სხვა მასტიმულირებელი ნივთიერებების მოხმარების ფონზე.

სისხლში ნატრიუმის დონის დაქვეითების (ჰიპონატრიემიის) ნიშნებია: გულისრევა და ღებინება, თავის ტკივილი, დაბნეულობა, კუნთების სისუსტე და კრუნჩხვები.

ალკოჰოლი აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს, ხოლო სტიმულანტები შაქრის დონეს ზრდიან, ამიტომ, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებმა უნდა აკონტროლონ შაქარი სისხლში.

დროდადრო შეისვენეთ ცეკვისგან და მიეცით საკუთარ თავს დრო გასაგრილებლად.

თუ თქვენ ან თქვენს მეგობარს გაქვთ შემდეგი სიმპტომები: მაღალი სიცხის შეგრძნება, გულზიდვა ან ღებინება, თავბრუხვევა, თავის ტკივილი, კუნთების შეკრთომები ან კრუნჩხვა, შეცბუნება და აბნეულობა ან აგზნება, გულისცემის აჩქარება, ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის გაძნელება, აჩქარება ან შენელება, დახმარებისათვის მიმართეთ პერსონალს.

წინასწარ დაგეგმეთ შინ უსაფრთხოდ დაბრუნება - რითი, ვისთან ერთად წახვალთ ღონისძიების დასრულების შემდეგ.

ქვემოთ მოცემულია QR კოდები, რომელთა განთავსება შეიძლება კლუბის ან ფესტივალის ტერიტორიაზე სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით:

ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ შეგიძლიათ, იხილოთ:
ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბორბალი
https://cpr.ge/drugs/wheel

ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების სხვადასხვა კომბინაციის შესაძლო რისკებსა და საფრთხეებზე შეგიძლიათ იხილოთ:
რისკის ცხრილი
https://cpr.ge/drugs/risk

დანართი 2. გამოყენებული ლიტერატურა

Guidelines for the local implementation of Quality Nights (clubs, events and (dance) cafés), VAD, Flemish expertise center for Alcohol and other Drugs, 2023.

Safer Partying Toolkit. Toronto Public Health. 2023

Guidelines for Music Festival Event Organisers: Music Festival Harm Reduction. NSW Health, 2023

NEWIP | Good Practice Standards for Serious Games in Nightlife Settings

Harm Reduction and the night-time Economy. A guide to best practice. Bristol City Council, 2022

Recreational settings and drugs: health and social responses. EMCDDA, 2022

Safer Drug Use. A Harm Reduction Guide. Health Promotion and Wellness. 2022

DRUG CHECKING: An Essential Response to Emerging Harm Reduction Needs. Curatio International Foundation, 2021

What is harm reduction and why is it important at music venues and events? Alcohol and Drug Foundation, 2019

Prevention Interventions in Recreational Settings. Council of Europe, 2017

Drug safety testing at festivals and night clubs. Royal Society for Public Health. 2017
Drug checking as a harm reduction tool for recreational drug users: opportunities and challenges. Health and social responses to drug problems: a European guide. EMCDDA, 2017

The NightSCOPE manual. Centre for Public Health Liverpool John Moores University, 2013

Responding to drug use and related problems in recreational settings, EMCDDA, 2012

Assessing your bar: Owners' guide to reducing incidents. Center for Addiction and Mental Health

Set of standards to improve the health and safety of recreational nightlife venues. European Institute of Studies on Prevention, 2011

Club Health - Staff training for nightlife premises. Healthy and Safer Nightlife of Youth project", 2011

Safer Nightlife: Best practice for those concerned about drug use and the night-time Economy. The London Drug Policy Forum, 2011

Handbook Healthy Nightlife Toolbox: How to create a healthy & safe nightlife. HNT | Utrecht | The Netherlands, 2010

Harm reduction: evidence, impacts and challenges. EMCDDA Monographs, 2010